

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University



**იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი
ქართველოლოგიური
სამეცნიერო კონფერენცია**

**KARTVELOLOGICAL SCIENTIFIC CONFERENCE
DEDICATED TO IAKOB GOGEBASHVILI**

**პროგრამა/თეზისები
Program/Abstracts**

27.10.2023
თბილისი/ Tbilisi

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

ეკატერინე ნავროზაშვილი (თავმჯდომარე)
თეიმურაზ პაპასქირი
ქეთევან ჭკუასელი
რუსუდან სანაძე
მედეა ლლონტი
ანა ლეთოდინი
თეა წითლანაძე
გიორგი გოგოლაშვილი
ნანა ბახსოლიანი
თეა ქამუშაძე
ლილი მეტრეველი

The Organizing Committee of the Conference:

Ekaterine Navrozashvili (Chair)
Teimuraz Papaskiri
Ketevan Chkuaseli
Rusudan Sanadze
Medea Ghlonti
Ana Letodiani
Tea Tsitlanadze
Giorgi Gogolashvili
Nana Bakhsoliani
Tea Kamushadze
Lili Metreveli

რეგლამენტი:

მოსხენება სხდომაზე – 15 წუთი
დისკუსია – 5 წუთი
სამუშაო ენა – ქართული

Time Limit:

Presentation – 15 min
Discussion – 5 min
Working Language – Georgian

ოქტომბერი 27 October

11.00

**კონფერენციის გახსნა
Opening of the Conference**

ილია ჭავჭავაძის გამზ.1, თსუ I კორპუსი, აუდიტორია 202
1, Ilia Chavchavadze Ave, TSU 1st Building, Room 202

**მისალმებები:
Welcome Speeches:**

ჯაბა სამუშია/Jaba Samushia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი
Rector of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ნანა გაფრინდაშვილი/ Nana Gaprindashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Dean of the Faculty of Humanities

11.20 – 13.00

**I სხდომა
Session I**

ილია ჭავჭავაძის გამზ.1, თსუ I კორპუსი, აუდიტორია 202
1, Ilia Chavchavadze Ave, TSU 1st Building, Room 202

სხდომის თავმჯდომარე – ლადო მინაშვილი
Chair – Lado Minashvili

11.20

ლადო მინაშვილი/ Lado Minashvili

ისტორიული თემა იაკობ გოგებაშვილის საბავშვო
მოთხრობებში

Historical Theme in Iakob Gogebashvili's Children's Fiction

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

11.40

**რუსუდან ასათიანი, მარინე ივანიშვილი/
Rusudan Asatiani, Marine Ivanishvili**

იაკობ გოგებაშვილის დედაენა: ტიპოლოგიური ანალიზი
Iakob Gogebashvili's Dedaena: Typological Analysis

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

12.00

გიორგი გოგოლაშვილი/Giorgi Gogolashvili

S3 პირის ნიშანთა პარალელური გამოყენების ერთი შემთხვევა ქართულში

A Case of the Parallel Use of S3 Person Marker in Georgian

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ ახნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი/ Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics, TSU

12.20

მედეა ღლონტი/Medea Ghlonti

იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ – ცოდნისა და რწმენის საუკუნოვანი წესის „ანაბეჭდი“

“Deda Ena” by Iakob Gogebashvili – the “Imprint” of the Centuries-old Rule of Knowledge and Belief

თსუ ახნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი/ Arnold Chikobava Institute of Linguistics at TSU

12.40

თამარ შარაბიძე/Tamar Sharabidze

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მნიშვნელობა მაშინდელი და დღევანდელი ანბანის სწავლების პროცესში

The Importance of Iacob Gogebashvili’s “Deda Ena” (“The Mother Tongue”) in the Alphabet Teaching Process Then and Now

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

13.00 – 14.00

შესვენება/Break

14.00 – 16.00

**II სხდომა
Session II**

ილია ქავჭავაძის გამზ.1, თსუ I კორპუსი, აუდიტორია 202
1, Ilia Chavchavadze Ave, TSU 1st Building, Room 202

სხდომის თავმჯდომარე – ეკა ვარდოშვილი

Chair – Eka Vardoshvili

14.00

ეკა ვარდოშვილი/Eka Vardoshvili

**შანდორ პეტეფის „მერანი“
Sandor Petofi's "Merani"**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

14.20

ლევან ბებურიშვილი/Levan Beburishvili

**იაკობ გოგებაშვილი რაფიელ ერისთავის შესახებ
Iakob Gogebashvili on Rapiel Eristavi**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

14.40

ხათუნა კალანდარიშვილი/Khatuna Kalandarishvili

**ისინი „თავიანთი ანდერძითაც საქმობენ“ (ისტორიული პირების როლი ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტისტიკაში)
They “Work Through Their Wills” (The Role of Historical Figures in Ilia Chavchavadze’s Publicist Letters)**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

15.00

**არჩილ კოხრეიძე, ნათია მირიანაშვილი/
Archil Kokhreidze, Natia Mirianashvili**

**დავით გარეჯის ბედი 1921-1938 წლებში
The Fate of David Gareja Monastery Complex in the Years 1921-1938**

თსუ ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი/ Institute of History and Ethnology at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი/ LEPL National Archives of Georgia

15.20

მაია ბარნაველი/Maia Barnaveli

**განათლების მდგომარეობის მიმოხილვა საქართველოში რუსეთის შემოსვლამდე იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილის მიხედვით „რანი ვიყავით გუშინ“
An Overview of the State of Education in Georgia Before the Entry of Russia – According to the Publicist Letter of Iacob Gogebashvili “Who We Used to Be Yesterday”**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

15.40

მარინე წიკლაური/Marine Tsiklauri

**იაკობ გოგებაშვილი ჯანსაღი მოქალაქეობრივი
ცნობიერების სათავეებთან**

Iakob Gogebashvili at the Origins of Healthy Civic Consciousness

თბილისის სსიპ N 147 საჯარო სკოლა/LEPL Tbilisi Public School N 147

იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“:
ტიპოლოგიური ანალიზი

IAKOB GOGEBASHVILI'S "DEDAENA":
TYPOLOGICAL ANALYSIS

რუსუდან ასათიანი, მარინე ივანიშვილი
Rusudan Asatiani, Marine Ivanishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: იაკობ გოგებაშვილის დედაენა,
გრამატიკა, ტიპოლოგია

Keywords: Iakob Gogebashvili's Dedaena, grammar, typology

პირველი წერა-კითხვის შემსწავლელი ტაბულები (Hornbooks) ევროპაში XV საუკუნიდან ჩნდება. თანამედროვე ანბანების წინამორბედი საკითხავები წარმოადგენდნენ ხის ჩარჩოზე გადაკრულ საქონლის რქოვანი მასალით დაფარულ თხელ ფირფიტებს, რომლებზეც რელიგიური ხასიათის მოკლე ტექსტთან, ძირითადად, მამაო ჩვენოს ლოცვასთან ერთად დართული იყო ასო-ნიშნები. მოგვიანებით მასალა იცვლებოდა: პერგამენტით, მეტალით, სპილოს ძვლით.

XVIII საუკუნის შუა წლებიდან ჩნდება და XIX საუკუნიდან განსაკუთრებულ პოპულარობას იძენს ე.წ. ვოდანებზე, მაქმანებზე (Battledores), გამოსახული ანბანის ნიშნები. ამ დროიდან მოყოლებული თანდათან რელიგიური ხასიათის ტექსტები იცვლება საყოფაცხოვრებო სცენების ამსახველი ისტორიებით, ჩნდება ილუსტრაციები; იცვლება მასალაც, ძირითადად იყენებენ მუყაოს – თავდაპირველად სამად გაკეცილი ფლაერის ტიპისას, შემდგომში რამდენიმე ფურცლისგან აკინძულს, რაც სულ უფრო და უფრო ემსგავსება წიგნს.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩნდება ბავშვებისთვის ანბანის შესასწავლად შედგენილი თანამედროვე ტიპის უკვე ბეჭდური სახელმძღვანელოები.

იაკობ გოგებაშვილმა „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის შედგენილი“ პირველად გამოსცა 1865 წელს, როცა იგი 25 წლის იყო. წიგნი მეორედ გამოიცა 1867 წ., მესამედ – 1868 წ., მეოთხედ – 1869 წელს. წიგნის პირველი გამოცემა, სამწუხაროდ, დაკარგულია. აღნიშნული სახელმძღვანელოს გამოცემა არსებითი ცვლილებების გარეშე გრძელდებოდა 1876 წლამდე. ი. გოგებაშვილის „დედაენა“ დაწყებული „აი ია“-თი მზად იყო 1875 წელს, მაგრამ გამოიცა 1876 წელს.

„დედაენის“ სტრუქტურული ანალიზი ეფუძნება ზოგად ენათმეცნიერებაში დამკვიდრებულ თეორიებს: 1. წერა ენის გრაფიკული კოდირებაა და დამწერლობა – სემიოტიკური სისტემა, სადაც გრაფიკულ ნიშანს (resp. გრაფემას) აქვს თავისი შინაარსისა და გამოხატულების პლანები; და 2. კაცობრიობის ენობრივი შემეცნების ფილოგენეტიური განვითარების ეტაპები ასახულია ბავშვის ონგოგენეტურ ენობრივ განვითარებაში.

ი. გოგებაშვილის „დედაენას“ სხვა, იმ დროს არსებული სახელმძღვანელოებისგან გამორჩევეს მისი შედგენის პრინციპები და სტრუქტურა, რაც, თავის მხრივ, ქართული დამწერლობის სპეციფიკით, მისი მკაცრი ფონოლოგიურობით არის განპირობებული და ასახავს ბავშვის მიერ დამწერლობის ათვისების ონტოგენეტური ეტაპების იზომორფულ მიმართებას ზოგადად დამწერლობის ისტორიული განვითარების ფილოგენეტურ საფეხურებთან, რაც იაკობ გოგებაშვილის შინაგან ალლო-ინტუიციაზე მეტყველებს.

The first tables for studying reading and writing (Hornbooks) appeared in Europe in the 15th century. The predecessors of modern ABC books were thin plates covered with cow horn material on a wooden frame, on which letters and signs were attached by a short text of a religious nature, mainly the Our Father prayer. Later, the material was changed to parchment, metal, and ivory.

The alphabet symbols displayed on the so-called Volans (Battledores) appeared in the middle of the 18th century. From the 19th century, they gained popularity. From this time onwards, religious texts were gradually replaced by stories depicting domestic themes illustrated with paintings. The material also changed, and mainly cardboard was used – initially in the form of a trifold flyer, it was bound from several sheets, which more and more resembled a book.

From the 1880s, printed textbooks of a modern type were created for children to learn the alphabet.

Iakob Gogebashvili first published “Alphabet of the Georgian Language and the First Reading Book for Students” in 1865, when he was 25 years old. The book was published for the second time in 1867, then in 1868 and 1869. The first edition of the book is unfortunately lost. The publication of the mentioned manual continued until 1876 without significant changes. Gogebashvili’s “Dedaena” starting with the minimalistic sentence “Ai ia” (Here is a violet) was ready in 1875 but was published in 1876.

The structural analysis of “Dedaena” is based on the theories established in general linguistics: 1. Writing is a graphic coding of the language, and it is a semiotic system, where a graphic sign (resp. grapheme)

is a symbiotic whole of content and expression; and 2. The stages of the phylogenetic development of human language cognition are reflected in the ontogenetic language development of the child.

Gogebashvili's "Dedaena" is distinguished from other textbooks available at that time by the principles and structure of its compilation, which, in turn, is determined by the specificity of the phonological character of the Georgian alphabet and reflects the isomorphic relationship between the ontogenetic stages of a child's acquisition of the script and the phylogenetic stages of the historical development of the writing system in general, which shows Gogebashvili's inner intuition.

**განათლების მდგომარეობის მიმოხილვა
საქართველოში რუსეთის შემოსვლამდე
იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური
წერილის მიხედვით „რანი ვიყავით გუშინ“**

**AN OVERVIEW OF THE STATE OF EDUCATION IN
GEORGIA BEFORE THE ENTRY OF RUSSIA – ACCORDING
TO THE PUBLICIST LETTER OF IACOB GOGEBASHVILI
“WHO WE USED TO BE YESTERDAY”**

მაია ბარნაველი

Maia Barnaveli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: განათლება, სკოლები, ევროპა, ვოლტერი,
რუსეთი

Keywords: education, schools, Europe, Voltaire, Russia

იაკობ გოგებაშვილი თავის წერილში „რანი ვიყავით გუშინ“, პასუხს სცემს იმ დროისათვის გავრცელებულ აზრს, თითქოს მეთვრამეტე საუკუნის გასულს საქართველო იყო მოცული „გონების სიბნელითა და მოკლებული განათლებასა“, თუმცა ისტორიული ფაქტებით ამტკიცებს ამ შეხედულების მცდარობას: იმ დროს არსებობდა სასულიერო სემინარია თბილისსა და თელავში, მოღვაწეობდა დიდი ქართველი მამულიშვილი და მოღვაწე გაიოზ რექტორი, შემდგომში ტავრიდისა და ასტრახანის მთავარეპისკოპოსი, დავით და ალექსანდრე რექტორები, გულწრფელი პატრიოტები, მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა სწავლება როგორც ქართული ლიტერატურის, ისტორიის, ასევე, როგორც თავად იაკობი უწოდებს, „საზოგადო საგანთ“. ასევე მონასტრების განათლების კერები იყო. საეკლესიო სკოლებში სწავლობდნენ წერას, კითხვას, გალობას, გრამატიკას, კატეხიზმოს, ძველ და ახალ ფილოსოფიას.

მაშინდელი სამეცნიერო წიგნების სიმრავლე იყო ქართულ ენაზე, ზოგი -ორიგინალური, ზოგი - ნათარგმნი, როგორც ავტორი გვამცნობს, „მეტაფიზიკიდან და დიალექტიკიდან დაწყებული, ვიდრე გეომეტრიამდე...“

სწავლა-განათლების საქმეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა როგორც სასულიერო, ასევე საერო მთავრობა, მეფეც კი დაივლიდა ხოლმე სასწავლებლებს, სცდიდა ხოლმე სწავლაში მონაფეებს და თავისი ხელით ასაჩუქრებდა საუკეთესოებს, „მამობრივ დარიგებას აძლევდა და აქებებდა სწავლაზედ“. ამიტომ მაშინდელი სკოლები მშვიდობიანობის დროს ყოველთვის „სავსენი იყვნენ მოსწავლეებითა“... გლეხებშიც მაშინ წერა-კითხვა ბევრმა იცოდა.

იმ დროისათვის საქართველო „არ იყო სრულიად მოკლებული გავლენასა იმ აზრებისა და იდეებისა, რომლებიც მაშინ აღელვებდნენ მთელს ევროპას. ფრანგ განმანათლებელს და ფილოსოფოსს, ვოლტერს, ჰყავდა ჩვენში მიმდევრები და თაყვანისმცემლები. თუმცა, როგორც იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს, გაძნელებული იყო მაშინ ევროპაში მისვლა-მოსვლა. მართალია, ოსმალეთი განდევნე შავი ზღვიდან რუსეთმა და „ამის შემდეგ ეს ზღვა წარმოადგენდა ფართო განიერ გზასა საქართველოს ერის დაახლოებისათვის, დაკავშირებისათვის აყვავებულს ევროპის ერთა თანა“. მაგრამ ასე არ მოხდა..

ეს წერილი საყურადღებოა საქართველოში რუსეთის შემოსვლაზე განათლების საკითხის შესასწავლად და გასააზრებლად. მით უმეტეს, რომ იმ დროიდან მოყოლებული რუსეთი ამკვიდრებდა აზრს, რომ საქართველო იყო განათლებას და ცივილიზაციას მოკლებული ქვეყანა და რუსეთმა შემოიტანა აქ განათლება, რაზედაც არაორაზროვანი პასუხი აქვს გაცემული ილია ჭავჭავაძეს „მგზავრის წერილებში“: რუსი ჯერ დააბნელებინებს ილიას განათებულ ოთახს ისე, რომ სინათლის სხივი არსაიდან შემოვიდეს და შემდეგ ამ უკუნ სიბნელეში შემოატანინებს სანთელს და ცდილობს დაარწმუნოს, რომ სწორედ ეს მბჟუტავი სანთელია განათლება.

Iakob Gogebashvili, in his letter “Who We Used to Be Yesterday”, responds to the popular opinion at the time that at the end of the 18th century, Georgia was surrounded by “darkness of mind and lack of education”, however, the author proves the fallacy of this view with historical facts: at that time there were theological seminaries in Tbilisi and Telavi, The great Georgian Patriarch and activist Gayoz Rector, later the Archbishop of Tavrid and Astrakhan, Davit and Aleksandre rectors, devoted patriots, taught Georgian literature, history, and also, as Iakob himself calls them, “public subjects” in the native language. Monasteries were centers of education as well. In church schools children studied writing, reading, chanting, grammar, catechism, old and new philosophy. The abundance of scientific books at that time is surprising to us now, writes Iacob Gogebashvili. These books were in Georgian. Some of them were original, some – translated; as the author informs us, “from metaphysics and dialectics, to geometry...”

Both the ecclesiastical and the secular government attached great importance to the field of education, even the king used to visit the schools, he sometimes tested the students in their studies and gave gifts to the best ones, “He (the king) gave paternal instructions and encouraged them to study”. That is why the schools of that time were always “full of students” during peacetime... Many of the peasants also knew how to read and write at the end of the 18th century.

Georgia was not completely devoid of the influence of the thoughts and ideas that excited the whole of Europe at that time. The French enlightener

and philosopher, Voltaire, had followers and admirers among us. However, as Iakob Gogebashvili points out, it was difficult to get to Europe then... It is true that the Ottomans were expelled from the Black Sea by Russia, and after that this sea represented a wide way for the Georgian nation to get closer, to connect with the prosperous European nations...But that did not happen.

This letter of Iakob Gogebashvili is noteworthy for studying and understanding the issue of education before Russia's entry into Georgia. Moreover, since that time, Russia was establishing the idea that Georgia was a country which lacked education and civilization, and Russia introduced education here. To this Russian postulate an unambiguous answer was given by Ilia Chavchavadze in his story "Letters of a traveler": the Russian officer orders Ilia first to darken the lit room so that a ray of light enters from nowhere. Then he makes him bring a candle into this fully darkened room, and tries to convince him that this flickering candle is education.

იაკობ გოგებაშვილი რაფიელ ერისთავის
შესახებ

IAKOB GOGEBASHVILI ON RAPIEL ERISTAVI

ლევან ბებურიშვილი

Levan Beburishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, იაკობ
გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი

Keywords: Georgian literature, Iakob Gogebashvili, Rapiel Eristavi

იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში ყურადღებას იქცევს ნაშრომი რაფიელ ერისთავის შესახებ, რომელშიც თვალსაჩინო ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის შემოქმედების საყურადღებო ანალიზია მოცემული.

რაფიელ ერისთავის შემოქმედებითი ბუნების მთავარ მახასიათებლად იაკობს ის მიაჩნია, რომ მწერალი ნიმუშია დასრულებული, მთლიანი პიროვნებისა, რომელსაც ნათლად აქვს გამორკვეული საკუთარი მიმართება გარე სამყაროსადმი. პოეტს შემუშავებული აქვს ღირებულებათა მყარი სისტემა და მისთვის უცხოა სკეფსისი, მსოფლმხედველობრივი მერყეობა. იაკობი ამ გარემოების საგანგებო აქცენტირებას იმიტომ ახდენს, რომ, მისი აზრით, რაფიელ ერისთავი სანიმუშო პიროვნებაა ახალი თაობის მწერალთათვის, რომელნიც მოკლებულნი არიან მსოფლმხედველობრივ სიმყარეს. ასეთ ვითარებაში იზრდება ისეთი ხელოვანის როლი, რომლის შემოქმედებაც სრულიად გარკვეულ და ცხად ლიტერატურულ-ზნეობრივ ღირებულებებს ეფუძნება. იაკობ გოგებაშვილი საუბრობს რაფიელ ერისთავის პოეტური ტალანტის სპეციფიკაზე და მის დამახასიათებელ რამდენიმე ძირითად ნიშანს გამოყოფს: „თ. რაფაელის ნაწერებს აქვთ ოთხი დიდი ღირსება: ორიგინალობა, ქართულის ცხოვრების ბეჭედი, წმინდა ქართული ენა და შესაბამისი კილო“. რაფიელ ერისთავის, როგორც პოეტის ერთ-ერთ უდიდეს ღირსებად იაკობს მიაჩნია ხალხური ენა, რომელიც სრულიად გასაგები და ადვილად აღსაქმელია ჩვეულებრივი მკითხველისათვის და, ამასთანავე, ინარჩუნებს სტილისტურ დახვეწილობას, არასოდეს გადაიზრდება ენობრივ ნატურალიზმში.

კრიტიკოსი მიუთითებს რაფიელ ერისთავის პოეტური კილოს თავისებურებაზე. მისი შეხედულებით, პოეტი ხალხური შემოქმედების საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელია. არის შემთხვევები, წერს იაკობი, როდესაც ვკითხულობთ ლექსს, რომელიც შესანიშნავადაა გამართული ვერსიფიკაციული ტექნიკის თვალსაზრისით, მაგრამ მას არ ძალუძს მკითხველზე ემოციური ზემოქმედების მოხდენა. ეს იმით არის განპირობებული, რომ იგი მოკლებულია პოეტურ პათოსს. რაფიელ ერისთავის ლექსების უდიდეს ღირსებას კი სწორედ გამორჩეული, მძლავრი პოეტური პათოსი წარმოადგენს.

რაფიელ ერისთავმა თარგმნა ი. კრილოვის იგავ-არაკები, აგრეთვე გალექსა სულხან-საბა ორბელიანის იგავები. იაკობ გოგებაშვილი, როგორც დიდაქტიკური ხასიათის ლიტერატურის პირუთენელი შემფასებელი, გამოეხმაურა ამ გამოცემას და რამდენიმე საყურადღებო შენიშვნა გამოთქვა. იაკობის მართებული დაკვირვებით, იგავ-არაკის ჟანრის თხზულებათა ბუნება მოითხოვს ლაკონიზმს, აზრის სხარტად გამოთქმას, განსაკუთრებით ეს შეეხება ნაწარმოების დასასრულს, რომელშიც თხზულების დედააზრი, მორალური პრინციპია გამოთქმული. რაფიელ ერისთავის გალექსილ იგავ-არაკებში კი ეს მოთხოვნა ზოგჯერ დარღვეულია. კრიტიკოსმა ისიც აღნიშნა, რომ ავტორი ზოგჯერ უმართებულოდ იყენებს არქაიზმებს იქ, სადაც ცოცხალი პოეტური მეტყველებაა საჭირო. მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, იაკობის აზრით, რაფიელ ერისთავის გალექსილი იგავ-არაკები მნიშვნელოვანი შენაძენია, ზოგადად, ქართული და, კერძოდ, საბავშვო ლიტერატურისათვის.

In the critical heritage of Iakob Gogebashvili attention is drawn to the work on Rapiel Eristavi, in which a remarkable analysis of the work of the prominent Georgian poet and public figure is given.

Iakob Gogebashvili believes that the main characteristic of Rapiel Eristavi's creative nature is that the writer is a model of a well-formed personality who has clearly defined his own relationship to the surrounding world. The poet has a solid system of values and is alien to skepticism. Iakob emphasizes this circumstance because, in his opinion, Rapiel Eristavi is an exemplary person for the new generation of writers who lack a solid worldview. In such a situation, the role of an artist whose work is based on certain and clear literary and moral values increases. Iakob Gogebashvili discusses the specifics of Rapiel Eristavi's poetic talent and singles out several main characteristic features: "His writings have four great virtues: originality, the stamp of Georgian life, the pure Georgian language and the appropriate poetic tone." Iakob believes that one of the greatest virtues of Rafiel Eristavi as a poet is the vernacular language, which is completely understandable for ordinary readers and, at the same time, maintains stylistic sophistication, never turning into linguistic naturalism.

The critic points out that the poet is the inheritor of the best traditions of Georgian folklore. There are times, Iakob mentions, when we read a poem that is perfect in terms of versification technique, but it fails to make an emotional impact on the reader. This is due to the fact that it lacks poetic pathos. The greatest merit of Rapiel Eristavi's poems is the outstanding, powerful poetic pathos.

Rapiel Eristavi translated I. Krylov's fables. Iakob Gogebashvili, as a professional evaluator of didactic literature, responded to this publication and made several noteworthy remarks. According to the critic's correct observation, the nature of fable genre requires laconism, short expression of the thought, especially at the end of the work. In the fables translated by Eristavi, this requirement is sometimes violated. Gogebashvili also noted that the author sometimes inappropriately uses archaisms where lively poetic speech is needed. Despite these shortcomings, in Iakob's opinion, Rapiel Eristavi's fables are an important acquisition, in general, for Georgian literature and, in particular, for children's literature.

**S₃ პირის ნიშანთა პარალელური გამოყენების
ერთი შემთხვევა ქართულში**

**A CASE OF THE PARALLEL USE OF S₃ PERSON MARKER
IN GEORGIAN**

გიორგი გოგოლაშვილი
Giorgi Gogolashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arnold Chikobava Institute of Linguistics, TSU

საკვანძო სიტყვები: ენა, ზმნა, პირის ნიშანი

Keywords: language, verb, person marker

S₃ პირის ნიშანთა განაწილების საფუძველი ძირითადად მორფოლოგიურია, ზოგჯერ დამატებით შემოდის ფონოლოგიური პრინციპი. ჩვეულებრივ, არ ხდება სუფიქსთა თავისუფალი მონაცვლეობა.

არის რამდენიმე წყვეტილში **-ო**-სუფიქსიანი ზმნა (დარგ-**ო**, მორწყ-**ო**, მიუზღ-**ო**, დაართ-**ო**...), რომელთაც „პარალელურად ანიანი ფორმებიც აქვთ: დარგა, დაართა, მორწყა“ (ა. შანიძე).

პარალელიზმი **დარგო//დარგა** ტიპის ზმნებში არა არის აფიქსთა თავისუფალი მონაცვლეობა. ისინი სხვადასხვა პარადიგმის წევრები არიან:

დავრგ-**ე** დავრგ-**ი**

დარგ-**ე** დარგ-**ი**

დარგ-**ო** დარგ-**ა**

ეს ფაქტი ყალიბთა მონაცვლეობის ტენდენციის გამოვლენა ჩანს. პარალელურ ფორმათაგან, ქართული ენის ეროვნული კორპუსის მონაცემთა მიხედვით, აშკარა უპირატესობა აქვს **-ო**-სუფიქსიან ვარიანტს (მაგ.: **დარგო** - 136 /**დარგა** - 4)... დაახლოებით მსგავსი თანაფარდობაა სხვა შემთხვევებშიც...

ეს ფაქტი გათვალისწინებული უნდა იქნეს ნორმირების პროცესში.

The distribution of S₃ person markers has a morphological basis. However, sometimes the phonological principle is also involved. As a rule, free suffix interchange/alteration does not occur.

There are several verbs ending in **-o**-suffix (**darg-o** ‘planted’, **morwk-o** ‘watered’, **miuzgh-o** ‘repaid’, **daart-o** ‘weaved’...), however, the parallel use of **-a**-suffix is also observed: **darg-a**, **daart-a**, **mortsk-a** (A. Shanidze).

Parallelism in **dargo//darga** type verbs is not the same as free affix alteration. They belong to different paradigms:

davrg-**e** davrg-**i**

darg-**e** darg-**i**

darg-**o** darg-**a**

This fact can be viewed as a manifestation of the tendency to the alteration of moulds/patterns. According to the data provided by the national corpus of the Georgian language, **-ო** suffix variant is preferable to other parallel forms. (For example, **dargo** - 136 / **darga** - 4) ... The ratio/quantitative relation is approximately the same in other cases ...

This fact should be taken into account in the process of normalization.

შანდორ პეტეფის „მერანი“
SANDOR PETOFI'S "MERANI"

ეკა ვარდოშვილი
Eka Vardoshvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: პეტეფი, ბარათაშვილი, მიცკევიჩი, საერთო
ტენდენციები

Keywords: Petofi, Baratashvili, Mickiewicz, common tendencies

ამ შემთხვევაში ჩვენ განვიხილავთ XIX საუკუნის ცნობილი უნგრელი პოეტის შანდორ პეტეფის ლექსს „მერანს“.

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ბარათაშვილი რომანტიკოსია, შანდორ პეტეფი კი რეალისტი, ბარათაშვილის „მერანსა“ და პეტეფის „მერანს“ („AZ EN PEGAZUSOM“ ზუსტი სათაური „ ჩემი მერანი“) შორის არაერთ მსგავსებას ვპოულობთ.

თავისი შინაარსით, მხატვრული სახეებით, სიმბოლური დატვირთვით უნგრელი ავტორის ლექსი დიდ მსგავსებას ავლენს როგორც ბარათაშვილის „მერანთან“, ისე მიცკევიჩის „ფარისთან“ .

„ფარისის“ ფილოსოფიური იდეა ასეთია, თავგანწირული მხედარი მიაქროლებს თავის რაშს, გზად უამრავი წინააღმდეგობა ეღობება, მაგრამ იგი ბედს არ ნებდება, მხედარი შეუერთდა მარადიულს და თვითონაც მასში გაქრა. არსმა შეიცნო არსი. საბოლოოდ მან პოვა ბედნიერება.

ბარათაშვილის „მერანში“ თავგანწირული მხედარი მიაჭენებს თავის მერანს, მისი მიზანია, შთამომავლობისთვის უვალი გზის გაკვალვა.

შანდორ პეტეფის დაუღალავი მერანი მიქრის და ლირიკული გმირი აღნიშნავს, რომ ერთი ნიშანიც კი კმარა, რომ ქვეყნის კიდე გადაატაროს, უსასრულობაში დაინთქას, ირეალურში გადავიდეს. ქენებით არ იღლება პეტეფის მერანი, რადგან წინ დიდი გზა აქვს გასავლელი, რადგან პოეტის ოცნება „შორს იწევს“. პოეტი მოუწოდებს თავის მერანს, რომ ნაპრალებზე გადაატაროს, შეებრძოლოს მტერს და დაამარცხოს იგი.

სამივე მწერლისათვის პოეტური ხატი მერანის სახეა. ისინი მსგავსი მხატვრული გრძნობით ქმნიან თავიანთ შედევრებს.

ამრიგად, საერთო ტენდენციები შეიძლება აისახოს სხვადასხვა ხალხის ლიტერატურულ პროცესებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ან გავლენით, რომლებსაც საერთო ფასეულობები აქვთ.

Specifically, we will discuss the poem “Pegasus” by the famous Hungarian poet of the 19th century Sandor Petofi.

Although Baratashvili is a romanticist, and Sandor Petofi is a realist, there are still many similarities between the realist Baratashvili’s “Merani” and Petofi’s “Pegasus” (Az en Pegazusom).

The poem by the Hungarian author reveals significant similarities with both Baratashvili’s “Merani” and Mickiewicz’ “Faris” regarding the content, artistic faces and symbolic imagery.

The philosophical idea of “Faris” is as follows: a selfless rider pursues his steed; there are many obstacles along the way, but the rebellious rider does not give in to his fate; the rider joins the eternal and disappears into it. By delving into the essence, the rider was able to find his happiness.

In Baratashvili’s “Merani”, the self-sacrificing rider’s goal is to “pave a new untrodden road” for his descendants.

The Pegasus of Sandor Petofi dashes tirelessly, and the lyrical protagonist notes that one sign to the steed is enough to take the rider to infinity, to the unreal, to cross the border of the fate. Petofi’s Pegasus does not get tired of riding because it has a long way to go to follow the poet’s dream, which takes them farther and farther. The poet calls out to the Pegasus to fly the rider over the gorge and fight and overcome the adversary.

All the three authors link the poetic image of a steed with the idea of freedom. All of them create their masterpieces based on a similar artistic sense.

Thus, common tendencies can be reflected in the literary process of different peoples independently of each other, or under the influence.

ისინი „თავიანთი ანდერძითაც საქმობენ“
(ისტორიული პირების როლი ილია ჭავჭავაძის
პუბლიცისტურ წერილებში)

THEY “WORK THROUGH THEIR WILLS”
(THE ROLE OF HISTORICAL FIGURES IN ILIA
CHAVCHAVADZE’S PUBLICIST LETTERS)

ხატუნა კალანდარიშვილი
Khatuna Kalandarishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ეროვნული თვითგამორკვევის პროცესი,
ისტორია, მოქალაქეობრივი გრძნობა, ზნეობრივი
იდეალი

Keywords: process of determining national identity, history, feeling
of citizenship, moral ideal

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში არაერთი ასპექტით არის განხილული ეროვნული თვითგამორკვევის საკითხი. დიდი მწერალი გამუდმებით ეძებდა იმ საყრდენებს, რაშიც ქართველი ერი, მთელი თავისი არსებობის მანძილზე, პოულობდა ძალებს სიცოცხლისა და თავისთავადობის შენარჩუნებისთვის. ეს ძიება იგრძნობა ყველგან, ილიას მხატვრულ შემოქმედებასა თუ პუბლიცისტურ ნააზრევში.

ეროვნული თვითგამორკვევის პროცესის ერთი უმნიშვნელოვანესი შენაკადი ილიას შემოქმედებაში ისტორიის სიღრმისეული გააზრებაა. ისტორია არის „იმისთანა ცნობიერი ცხოვრება, რომელიც გამოსახავს ხოლმე სულიერს და ხორციელს ვინაობას ერთიანის კრებულისას, მის მიზიდულობას, მის აზრს და საგანს არსებობისას“ („ერი და ისტორია“). ისტორიის ეს დანიშნულება, ილიას აზრით, განსაკუთრებით ნათლად ვლინდება გამორჩეული ისტორიული პირების ნამოღვაწარში. ამ კონტექსტშია გააზრებული მის პუბლიცისტურ წერილებში წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი, ლუარსაბ ნამებელი, კრწანისის ბრძოლის გმირები, მეფე ერეკლე II.

ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, ამ დიდი ქართველების სახეს და მათი მოღვაწეობის შინაარსს ქმნის ისეთი თვისებები, როგორებიცაა მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობა, მამულიშვილური ვალის შეგნება, რომლის წინაშეც სამშობლო და სარწმუნოება განუყოფელი ცნებებია, მზაობა თავგანწირვისათვის. ეს თვისებები ნიმუშად უნდა იქცეს და ზნეობრივ იდეალად დაისახოს ქართველი ერისთვის.

წარსულში ჩადენილი გმირობა, წარსულში განეული ღვაწლი ერის სულიერების სალაროში დაუნჯებული უძვირფასესი განძია, რომელიც მომავალშიც ასაზრდოებს ამ ერის შვილთა სულიერ და ფიზიკურ მხნეობას და მტკიცე ზნეობრივ საყრდენს წარმოადგენს მათთვის. ამიტომ უკეთესი მომავლის მოსაპოვებლად ისტორიული წარსულის ღრმად შესწავლა-გაანალიზებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

The topic of determining national identity is discussed from various sides within Ilia Chavchavadze's works. The great writer forever sought to find those fundamentals that allowed the Georgian nation to find strength for existence and for keeping its identity. The quest to find them can be felt everywhere, be it Ilia's fictional works or publicist letters.

For Ilia, one of the most important parts of determining national identity is the deep analysis of history. History is “the kind of conscious life that shows the spiritual and physical identity of a group, its direction, its thoughts, and its substance of existence” (“Nation and History”). According to Ilia, this property of history can be observed with significant clarity through the deeds of exceptional historical figures. This is the context with which he mentions Saint King David IV the Builder, Martyr Luarsab, Heroes of the battle at Krtsanisi, and King Erekle II within his publicist letters.

According to Ilia Chavchavadze, the substance of these great Georgians’ deeds is created by characteristics such as deep feeling of citizenship, understanding personal responsibility towards the country, which implies the inseparability of motherland and religious faith, as well as readiness for self-sacrifice. These characteristics should be exemplary for the Georgian nation, and need to be regarded as the moral ideal.

Heroic deeds from the past are the greatest treasure that has accumulated in the coffers of national spirituality. In the future, this treasure feeds the spiritual and physical strength of the nation’s children, and acts for them as a moral foundation. For these reasons, it is imperative that the historical past is analyzed deeply to attain a better future.

დავით გარეჯის ბედი 1921-1938 წლებში
THE FATE OF DAVID GAREJA MONASTERY COMPLEX IN
THE YEARS 1921-1938

არჩილ კოხრეიძე, ნათია მირიანაშვილი
Archil Kokhreidze, Natia Mirianashvili

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
Institute of History and Ethnology at Ivane Javakhishvili
Tbilisi State University

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი
LEPL National Archives of Georgia

საკვანძო სიტყვები: გარეჯი, სახელმწიფო, საზღვარი
Keywords: Gareji, state, border

30 წელია, რაც საქართველო დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა. ამ წლების მანძილზე არაერთხელ წამოიჭრა საზღვრისპირა რეგიონების საკითხი. საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი, გარეჯის ველი, და იქ განთავსებული სამონასტრო კომპლექსის ბედი, დღეს განსაკუთრებით აქტუალურია – ის საქართველოს საზოგადოებაში აღძრავს ინტერესს, ბადებს საინტერესო შეკითხვებს, მოითხოვს პასუხებს. საკითხის უდიდესი ინტერესისა და აქტუალობიდან გამომდინარე შევეცადეთ, ახალი საარქივო, მემუარული ლიტერატურის, პერიოდული პრესისა და არსებული საისტორიო აზრის კრიტიკული გააზრების საფუძველზე შეგვესწავლა ეს საკითხი. საგრანტო პროექტი – საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციაში – შიდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და რესპუბლიკათაშორისო საზღვრები 1922-1936 წლებში – მიზნად ისახავს ამ ხარვეზის გამოსწორებას. მოხსენებაში შესწავლილია ამ კონკრეტულ საზღვრისპირა რეგიონში ეთნიკური ურთიერთობების თავისებურებები და ის ისტორიული რეალობა, რომელიც საარქივო მასალებშია მოცემული. საბჭოთა ხელისუფლების დროს რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო საზღვრები შეგნებულად წაიშალა, რაც საბაჟოების, პიკეტებისა და სხვა ტექნიკური ფორმების გაუქმებით გამოიხატა. კომუნისტების აზრით, „საბჭოთა ძალაუფლების ნიადაგზე ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ სად თავდება ესა თუ ის საზღვარი...“

კვლევა ეფუძნება არქივთმცოდნეობასა და საისტორიო მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდოლოგიურ პრინციპებს: სისტემატურობას, კლასიფიცირებას, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების აღქმის ობიექტივისტურ მეთოდოლოგიას, ძირითადი საფუძველი იქნება საარქივო მასალისადმი დამოკიდებულების კომპლექსური მეთოდი, გამოყენებულია შედარებითი და ისტორიული მეთოდები, რის საფუძველზეც დგინდება: საკვლევი პრობლემის განვითარების ძირითადი ეტაპები და თავისებურებები ხანგრძლივ ისტორიულ მონაკვეთში; დგინდება, თუ რა განსაზღვრავდა საბჭოთა პერიოდში ორ ქვეყანას შორის საზღვრის კონტურებს: იდეოლოგია, ეკონომიკა, პოლიტიკა თუ ადგილობრივი ეთნიკური მრავალფეროვნება; გასათვალისწინებელია, რომ ამ დროს ლაპარაკი არ იყო სახელმწიფო საზღვრებზე. ამიტომ რესპუბლიკებს შორის

სასაზღვრო სადავო საკითხების განსახილველად იქმნებოდა არა სახელმწიფოებს შორის საზღვრების დამდგენი კომისიები, არამედ მაზრებს შორის საზღვრების გამმიჯნავი კომისიები. ამ პერიოდში ვერავინ ბედავდა საუბარს სახელმწიფო საზღვრებზე და რესპუბლიკებს შორის იდებოდა ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვარი, როცა საქართველოს წარმომადგენლები ცდილობდნენ სასაზღვრო სადავო საკითხების მოწესრიგებას საქართველოს სასარგებლოდ, იძულებულნი იყვნენ მოეშველიებინათ საქართველოს ეკონომიკური და მშრომელთა ინტერესები.

მოხსენებას აქვს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვა ახალი მონაცემები, შემუშავდება რეკომენდაციები, რაც სამეცნიერო წრეებს, მასმედიას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს მიაწვდის საჭირო და მნიშვნელოვან ინფორმაციას.

Georgia has been an independent and sovereign state for more than 30 years. During all these years it has been important to solve the problems regarding the border regions of the country. Part of the Georgian state border in the east includes the half-desert slopes of Mount Gareja, where David Gareja Monastery complex is located. The situation around this monastery is extremely topical today. It sparks a lot of interest in Georgian society and people want to have answers to the problems associated with it.

Based on the enormous interest and relevance of David Gareja Monastery today, we decided to research the related questions on the basis of archival materials, memoirs, periodicals and critical analysis of the existing historical narratives. The grant project “Georgia as part of the Transcaucasian Federation – its Internal Administrative-territorial and Republican Borders in 1922-1936” aims to fill the gaps in this issue. This report, based on archival data, describes the features of ethnic relations in this particular border region, as well as the historical reality existing here in the mentioned period.

During the period of Soviet power, the previously existing borders between the republics located in the Transcaucasian Federation were

deliberately abolished, as well the customs points, checkpoints and other technical services. From a communist point of view, under the conditions of Soviet power, it was not significant for national independence where one or another border of the country lay.

During the study, methods were used that are common in archival and historical research. These methods are as follows: systematicity, classification and objectivism for the proper perception and assessment of historical facts and events. But the main method is an integrated approach to the archival material. The research also employed comparative and historical methods, on the basis of which it was possible to establish the main stages and features of the development of the studied problem during a long historical period.

One of the main tasks was to find out what factors were decisive during the Soviet period in establishing the borders of a particular country. Whether it was ideology, economics, politics or ethnic diversity. It must be taken into account that at that time it was not a question of state borders. Therefore, it only concerned the demarcation of the inter-republican and inter-regional borders, but not the interstate ones. And this was the responsibility of local governments, which created various border commissions for this purpose.

At that time, no one would have dared to say anything about state borders. Administrative and economic boundaries were designated between the republics. When during these processes the representatives of Georgia tried to resolve border issues in favor of their country, they always referred only to the economic interests of the country and the interests of the working people.

This report has both theoretical and practical importance. New data will appear in scientific circulation. Some recommendations will also be developed that will ensure that will provide the scientific circles, mass media, non-governmental organizations and state structures with significant necessary information.

ისტორიული თემა იაკობ გოგებაშვილის
საბავშვო მოთხრობებში

HISTORICAL THEME IN IAKOB GOGEBASHVILI'S
CHILDREN'S FICTION

ლადო მინაშვილი

Lado Minashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, საბავშვო
ლიტერატურა, იაკობ გოგებაშვილი

Keywords: Georgian literature, children's literature, Iakob
Gogebashvili

იაკობ გოგებაშვილი იყო არამართო დიდი პედაგოგი, აღმზრდელი, არა მართო შესანიშნავი სახელმძღვანელოების ავტორი, არამედ მას ქართულ სინამდვილეში სამართლიანად თვლიან საბავშვო მწერლობის ფუძემდებლად.

მართალია, ბავშვებისათვის გამიზნული ნაწარმოებები ჩვენში ადრეც იწერებოდა, მაგრამ მწერლობის ეს უბანი მეცნიერულ საფუძვლებს იაკობ გოგებაშვილმა დააყრდნო. გამიზნულად ფიქრი საბავშვო მწერლობაზე, მასზე საგანგებოდ ზრუნვა, მისი საფუძვლების დამუშავება, სწორედ იაკობ გოგებაშვილის სახელს უკავშირდება.

იაკობ გოგებაშვილის თემატიკურად მდიდარ საბავშვო პროზაში განსაკუთრებული მნიშვნელობით და ღირებულებით გამოირჩა ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი მოთხრობები. ისტორიული მოთხრობების შექმნას მწერალი იმ პრინციპს უდებდა საფუძვლად, რომლის თანახმადაც ყმანვილის სწავლა-განვითარება იმ საგნებიდან უნდა დაიწყოს, რომლებიც უფრო ახლოს არიან, მის გრძნობა-გონებას იზიდავენ და ადვილად შეითვისებიან. კაცობრიობის ისტორიის შესწავლას საფუძვლად შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ თავისი მშობლიური ქვეყნის ისტორია დაედოს. არადა, როგორც ერთი რუსი ავტორის დამონება უყვარდა იაკობ გოგებაშვილს, საქართველოს ისტორიას ასი შექსპირიც ვერ ამონურავსო.

იაკობ გოგებაშვილი თავისი მოთხრობებისათვის მასალად ირჩევს საქართველოს ისტორიის უმთავრეს მომენტებს, გამორჩეულ ისტორიულ პირებს, მათ საქციელს და ზნეობრივ მოქმედებებს, რომლებიც საგანგებოდ შემოინახა ხალხის ხსოვნამ თუ ისტორიამ. იაკობ გოგებაშვილის ისტორიული მოთხრობების გმირები კარგად არიან ცნობილი ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან. ქართველმა ყმანვილებმა „ქართლის ცხოვრების“ დიდი გაკვეთილები ჯერ კიდევ იაკობ გოგებაშვილის მოთხრობებიდან შეისისხლხორცეს. იაკობ გოგებაშვილის ისტორიული მოთხრობები ადვილად აღსაქმელია და შესათვისებელი ყმანვილებისათვის როგორც შინაარსით, ასევე ფორმით. მწერლის მოთხრობები ლაკონიური

თხრობის იშვიათ ნიმუშებს წარმოადგენენ. იაკობ გოგებაშვილის მოთხრობებს არასოდეს მოაკლდებათ ხიბლი. მოზარდი თაობები ამ მოთხრობებით ეზიარებიან ჩვენი ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვან ამბებს, გაეცნობიან ჩვენი ქვეყნის გამორჩეულ შვილებს, დიდ და კეთილშობილ გმირებს, რომელთაც ღრმა კვალი გაავლეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და, პრაქტიკულად, ბევრით განსაზღვრეს ჩვენი ხალხის ზნეობა, ქვეყნის მომავალი.

ეს მოთხრობები, მათში განხორციელებული იდეები გაჰყვებათ საგზლად ცხოვრების დიდ გზაზე, რაც იმისი პირობაც იქნება, რომ საქართველოს მომავალმა თაობებმა იცოდნენ, „ვისი გორისანი არიან“, უკვდავი აკაკის სიტყვები რომ მოვიმარჯვოთ, უნდა ვთქვათ, ვინც იაკობ გოგებაშვილის „გატკეპნილ გზას არ გაივლის, ის არც ქართველად იხსენიება“.

Iakob Gogebashvili was not only an outstanding teacher, educator, and the author of excellent textbooks, but he is rightly considered the founder of children's writing in Georgian reality.

It is true that fiction books intended for children were written in Georgia before, but this realm of literature was based on scientific foundations by Iakob Gogebashvili. Thinking purposefully about children's writing, taking special care of it, working out its basics, is connected with the name of Iakob Gogebashvili.

In the thematically rich children's prose of Iakob Gogebashvili, the stories created on a historical theme stand out for their special value and importance. The author based his historical stories on the principle that a child's learning and development should begin with the things that are closer to him, that attract his senses and mind and are easily assimilated.

As a material for his stories, Iakob Gogebashvili chooses the most important moments of the history of Georgia, outstanding historical persons, their virtues, which have been especially preserved by people's memory and history. The characters of Iakob Gogebashvili's historical

stories are well known from the history Georgia. They are easy to understand and assimilate for children, both in terms of content and form. The writer's stories are rare examples of concise narration. Iakob Gogebashvili's stories will never lack charm. Through these stories the teenage generations will share the most important events of the history of Georgia, they will get to know eminent persons of Georgia, great and noble heroes, who left a deep mark in the history of the country and, practically, determined the morale of the Georgian people and the future of the country.

**იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ – ცოდნისა
და რწმენის საუკუნოვანი წესის „ანაბეჭდი“**

**“DEDA ENA” BY IAKOB GOGEBASHVILI – THE “IMPRINT”
OF THE CENTURIES-OLD RULE OF KNOWLEDGE
AND BELIEF**

მედეა ღლონტი

Medea Ghlonti

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arnold Chikobava Institute of Linguistics at TSU

საკვანძო სიტყვები: სწავლების მეთოდოლოგია, ცოდნა და
რწმენა

Keywords: teaching methodology, knowledge and belief.

იაკობ გოგებაშვილის მრჩობლად გამოთქმული შეგონება-სწავლებით ნიშანდობლივად წარმოჩნდება ქართველი ერის გადარჩენისა და გამარჯვების უზენაესი მისიის - მამულისა და ერისადმი განეული გარჯის 2 უმთავრესი მამოძრავებელი ძალა:

I. დაუცხრომელი საღმრთო მსახურება („გიყვარდეს ერი შენი, უმეტეს თავისა შენისა!“, შდრ.: „შეიყუარო მოყუასი შენი - ვითარცა თავი თვისი“ - ლუკა, 10, 27),

II. თავდადებული საერისკაცო ღვაწლი („ყველაფერი ხალხმა მომცა და ხალხსავე უნდა დაუბრუნდეს!“, შდრ.: „ჩემი მხოლოდ ის არის, რაც გავეცი“ - ნეტარი მაქსიმე აღმსარებელი), რაც იაკობ გოგებაშვილმა დიდებულად გაცოცხლა და აამოქმედა „დედა ენაში“ - როგორც საანბანე სახელმძღვანელოს აგების საკუთარი მეთოდოლოგიით (მ. ლლონტი), ისე „დედა ენისავე“ საკითხავი და შესასწავლი მასალის თემატიკის არჩევანითა და მისი გადაწვინების მიზანდასახულობით (მ. ლლონტი).

წინამდებარე მოხსენებაში საგანგებოდ განიხილება ზემოხსენებული გოგებაშვილისეული მრჩობლი შეგონება-სწავლების კონკრეტული საღვთისმეტყველო წანამძღვარი, რომლითაც ჩვენი დიდებული წინაპარნი საუკუნეების განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ და, საკუთარი **მამულის** კეთილდღეობისათვის განეული გარჯისა თუ ღვაწლის მასაზრდოებლად, თანაბარი ნიშანდობლიობით გვისახელებდნენ **მშობლიურ დედაენას** (ანუ - კაცობრივ სიტყვა ქართულს) და **სარწმუნოებას** (ანუ - ძე და სიტყვა ღვთისას, სიტყვა-ლოგოსს).

ამ მიზნით, გაანალიზდება კლიმენტი ალექსანდრიელის (II-III სს.) „სტრომატებში“ ჩაწერილი **ცოდნისა და რწმენის** სინერგიულად გაერთიანების წესის მრავლისმეტყველი შეგონებითი ფორმულირება: **„არც ცოდნა - გარეშე რწმენისა, არც რწმენა - გარეშე ცოდნისა“**, რომლის შემადგენელთაგან - **„ცოდნა“** კეთილგონივრულად მომარჯვებელი ის **ამქვეყნიური ცოდნაა**, რომელიც ადამიანს მართებულ სარწმუნოებრივ შემეცნებასაც ჭეშრვნად განუვითარებს და მას საფეხურებრივი სულიერი ზეღმავლობისთვისაც განამზადებს, ხოლო **„რწმენით“** გადმოიცემა მოაზროვნება-სიტყვიერების ის ძალისხმევა და უნარი, რომელიც **სიტყვა-ლოგოსის** (ძე ღმერთის) **ხატისებრობით** - მხოლოდ ადამიანს

ებოდა (ედ. ქელიძე; ირ. ორჟონია), გავიხსენოთ, რომ **ქართული ენის მრავალსაუკუნოვანი ფენომენი**, როგორც წესი, არასოდეს განიხილება ავტონომიურად, არამედ განუყოფლადაა შემტკიცებული – **მამულსა და სარწმუნოებასთან**, შდრ.:

- * „**ქართლად** ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა **ქართულითა** ენითა ჟამი შეიწირვის და **ლოცვაჲ ყოველი** აღესრულების“ (გიორგი მერჩულე – IX-X სს.),
- * „**მამული, ენა, სარწმუნოება**“ (წმინდა ილია მართალი – XIX ს.),
- * „**მამული, ენა, ეროვნული სკოლა** [ქაჩთუღ ენაზე სწავდება] და **სარწმუნოება**“ (იაკობ გოგებაშვილი – XIX-XX სს.).

In the guidance and recommendations by Jakob Gogebashvili, the 2 main driving forces of the supreme mission of survival and victory of the Georgian nation – the service rendered to the homeland and nation are clearly visible:

I. Unwavering divine service (“Love your nation more than yourself!” cf.: “You shall love your neighbor as yourself” – Luke 10:27);

II. Dedicated deeds of a public figure (“Everything was given to me by the people and it must be returned to the people!” cf.: “What I gave away is the only thing that is mine” – Saint Maximus the Confessor), which Jacob Gogebashvili gloriously brought to life and implemented in “Deda Ena” by his own methodology of compiling an alphabet manual (M. Glonti), as well as by the choice of the topics of reading and study material and their distribution in “Deda Ena” (M. Glonti).

The present paper discusses the specific theological premise of the above-mentioned teaching offered by Gogebashvili, which our great forefathers had been guided by for centuries; it was our ancestors who named our mother tongue “Deda Ena” (that is – the Georgian human word) and faith (that is – the Son and the Word of God, The Word-Logos) with equal significance as the source of the deeds and merits rendered for the well-being of their homeland. For this purpose, the admonitory formulation of the rule of combining knowledge and faith synergistically written in the “Stromats” of Clement of Alexandria (2nd-3rd centuries) will be analyzed: “Neither knowledge without faith, nor

faith without knowledge”, in which “knowledge” is the worldly knowledge, which will thoroughly develop a person’s right religious understanding and prepare him for step-by-step spiritual ascension, while “faith” conveys the effort and ability of thinking-verbality only given to people like the Word-Logos (the Son of God) (Ed. Chelidze; Ir. Orzhonia). Let’s remember that the centuries-old phenomenon of the Georgian language, as a rule, is never considered autonomously, but it is inseparably combined with **homeland** and **faith**, cf.:

- * “Kartli is a great land where all prayers are said and church services are conducted in the Georgian language” (Giorgi Merchule – 9th-10th cc.),
- * “Homeland, Language, Faith” (Saint Ilia the Righteous – 19th c.),
- * “Homeland, Language, National School [teaching in the Georgian language] and Faith” (Iakob Gogebashvili – XIX-XX cc.).

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“
მნიშვნელობა მაშინდელი და დღევანდელი
ანბანის სწავლების პროცესში

THE IMPORTANCE OF IACOB GOGEBASHVILI'S "DEDA
ENA" ("MOTHER TONGUE") IN THE ALPHABET TEACHING
PROCESS THEN AND NOW

თამარ შარაბიძე

Tamar Sharabidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: დედა ენა, იაკობ გოგებაშვილი, ანბანი

Keywords: "Deda Ena" ("Mother Tongue"), Iakob Gogebashvili, Alphabet

თავდაპირველად საქართველოში ანბანს სწავლობდნენ სავარჯიშოებით, რომლებიც დართული ჰქონდა ქრისტიანულ კანონიკურ ძეგლებს: „ჟამნს“, „ფსალმუნებს“. არსებობდა ცალკე საანბანო სახელმძღვანელოებიც, რომლებშიც საკითხავი მასალა შეტანილი იყო ოთხთავიდან, მოციქულთა საქმეებიდან და სხვა რელიგიური წიგნებიდან. 1865 წელს იაკობ გოგებაშვილმა გამოსცა „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“. ეს გამოცემა უკეთესი იყო სხვა სახელმძღვანელოებზე, დროთა განმავლობაში კი შეუცვლელი აღმოჩნდა. შეუცვლელია განაპირობა რამდენიმე მიზეზმა: თავად ავტორი არ დაკმაყოფილებულა ამ წიგნით და მთელი ათი წლის განმავლობაში აუმჯობესებდა. „დედა ენა“ იქცა მთელი ერის უპირველეს და უსაყვარლეს წიგნად. ის მარტო წერა-კითხვას კი არ ასწავლიდა ბავშვებს, არამედ ყოველდღიურ ცოდნას იმდენად ბუნებრივად უღრმავებდა, რომ შემეცნებით უნარს უმუშავებდა, სწორ მეტყველებას აჩვენებდა, ქართულ კულტურას აზიარებდა და ზნეობრივად ამდიდრებდა.

ქართული სახელმძღვანელოს უპირატესობა სხვა სახელმძღვანელოებთან და გენიალობა არის გოგებაშვილის მოფიქრებული წიგნის პირველი ფრაზა – „აი ია“. ორი ქართული ასო ქმნის როგორც მარცვალს, ასევე სიტყვას და ასევე ფრაზასაც; ამასთანავე, ამ საგნის – იის – შესახებ არსებობს მშვენიერი მარტივი საბავშვო ლექსიც. ამიტომ პირველსავე გაკვეთილში გატარებულია სინთეზის პრინციპი. დიდი მასწავლებლის მიზანი – ანბანის შესწავლის მეთოდი მიიყვანო „სიადვილის უკანასკნელ ხარისხამდის“ – მიღწეულია. ბავშვის გონება თვალსაჩინოებით მარტივიდან ნელ-ნელა მიემართება შედარებით რთულსკენ;

საკითხავი მასალა საინტერესოა ბავშვისთვის და, ამავდროულად, ავითარებს მის გონებას, სასიამოვნოცაა და სასარგებლოც. ტექსტები გოგებაშვილის მიერ გადამუშავებულია პედაგოგიური მიდგომით. „დედა ენის“ უბრალოდ გადაფურცვლაც კი საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ, როგორ თანდათანობით დიდდება და რთულდება საკითხავი მასალა.

იაკობ გოგებაშვილი, რომ აღარაფერი ვთქვათ მის სამწერლობო, პედაგოგიკურ თუ საქველმოქმედო ღვაწლზე, მხოლოდ თავისი

„დედა ენით“ გვერდით დაუდგა მე-19 საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურებს – ილიასა და აკაკის, რადგან სწორედ მან აღზარდა ის პატრიოტი თაობა, რომელზედაც დიდი კლასიკოსები ოცნებობდნენ. დღესაც ქართველი ბავშვები წერაკითხვას იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ პრინციპების მიხედვით შედგენილი სახელმძღვანელოებით სწავლობენ, რადგან მიგნება – „აი ია“ – შეუცვლელია.

Initially, in Georgia, the alphabet was learned through exercises, which were attached to the Christian canonical monuments: “Hours”, “Psalms”. There were also separate alphabetic textbooks, which included reading material from the Four Gospels, the Acts of the Apostles, and other religious books. In 1865, Iacob Gogebashvili published “Alphabet of the Georgian Language and the First Reading Book for Students”. This edition was superior to other textbooks and proved to be irreplaceable over time. The irreplaceability was caused by several reasons: the author himself was not satisfied with this book and kept on improving it for ten years. Deda Ena became the first and most beloved book of the whole nation. It did not only teach children to read and write, but it deepened their daily knowledge so naturally that it developed cognitive skills, taught children to speak correctly, shared Georgian culture and enriched them morally. The advantage of the Georgian textbook over other textbooks and its genius is the first phrase of the book conceived by Gogebashvili – “Ai Ia” (trans. “here is a violet”). Two Georgian letters form both a syllable and a word, and also a phrase; in addition, there is also a wonderful, simple, children’s poem about this object – violet. Therefore, the principle of synthesis is covered in the very first lesson. The goal of a great teacher – to bring the method of studying the alphabet “to the highest degree of simplicity” – has been achieved. The child’s mind gradually moves from the simple to the relatively complex;

The reading material is interesting for children and, at the same time, it develops their mind; it is both pleasant and useful. The texts are processed by Gogebashbili with a pedagogical approach. Even just leafing through

“Deda Ena” is enough to see how the reading material gradually becomes bigger and more difficult.

Not to mention his literary, pedagogic or charitable merits, Iakob Gogebashvili, stood by the leaders of the 19th century national liberation movement – Ilia and Akaki – just with his “Deda Ena”, because it is he who raised the patriotic generation that the great classicists dreamed of. Even today, Georgian children learn to read and write with textbooks compiled according to the principles of “Deda Ena” by Iacob Gogebashvili, because the find “Ai la” is irreplaceable.

იაკობ გოგებაშვილი ჯანსაღი
მოქალაქეობრივი ცნობიერების სათავეებთან
IAKOB GOGEBASHVILI AT THE ORIGINS OF HEALTHY
CIVIC CONSCIOUSNESS

მარინე წიკლაური

Marine Tsiklauri

თბილისის სსიპ N147 საჯარო სკოლა
LEPL Tbilisi Public School N 147

საკვანძო სიტყვები: დედაენა, განათლება, მოქალაქეობა
Keywords: "Dedaena", education, citizenship.

„იაკობი დროს უსწრებდა,“ – წერს ენათმეცნიერი გიორგი გოგოლაშვილი მონოგრაფიაში „სიბრძნე იაკობისა“: „ის, რასაც იაკობი ქადაგებდა XIX საუკუნეში, უტყუარი ჭეშმარიტებაა დღესაც, მეტიც – სასიცოცხლო აუცილებლობაა ერისთვის“ (გ. გოგოლაშვილი).

იაკობი კი ქადაგებდა, რომ „ბავშვმა მას უკან უნდა იწყოს უცხო ენის შესწავლა, როცა უკვე კარგად აქვს შეთვისებული თავისი დედა-ენა... **მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა. ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მესხიერებისა**“ (იაკობ გოგებაშვილი).

მოხსენების მიზანია, გამოიკვეთოს ის შედეგები, რომელთაც მოქალაქის აღზრდისას „სულისა და გულის ენის“ უგულბელებოდა განაპირობებს. იმთავითვე უნდა განვსაზღვროთ, რომ **„ენა“, ამ შემთხვევაში, მოიაზრება არა მხოლოდ პირდაპირი – დედაენის – მნიშვნელობით, არამედ გულისხმობს შინაგან, სულიერ და ფსიქო-ემოციურ მოცემულობას, რომელიც გენეტიკურადაა განპირობებული და რომლის უარყოფასაც ადამიანი მიჰყავს დეჰუმანიზაციამდე, ანტიმოქალაქეობრივ ცნობიერებმდე.**

გოგებაშვილის მოძღვრება ჯანსაღი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბების საწინდარია. მოხსენებაში წარმოდგენილია წმინდა მამათა – იოანე ოქროპირისა და მღვდელმონაქვე გრიგოლ ფერაძის განმარტებები **მოქალაქეობის არსისა და რაობის შესახებ.** გრიგოლ ფერაძე სიტყვა „მოქალაქის“ მნიშვნელობაზე წერს: **„ესა სიტყვა მძიმე და შინაარსიანი. ეს სიტყვა სხვა ერებს არა აქვთ სიტყვა მოქალაქეობა ჰგულისხმობს წმინდანის სულიერ ცხოვრებას: მის ბრძოლას თავის თავთან, თავის წრესთან და სიბნელესთან“** (გრიგოლ ფერაძე).

მოხსენებაში მიმოხილულია გოგებაშვილის შეხედულებები იმ უარყოფით შედეგებზე, რომლებიც მოჰყვება პიროვნების დაშორებას მშობლიური წიაღისგან. გატარებულია აზრი, რომ ეს დანაკლისი იწვევს შემოქმედებითი აზროვნების დაქვეითებას, პიროვნულობის ნიველირებასა და ანტიმოქალაქეობრივ სულისკვეთებას. მოყვანილია მაგალითები გოგებაშვილის პუბლიცისტიკიდან და დამონ-მებულია თანამედროვე მოაზროვნეების (კახა ქეცბაია, ჟან ბოდრიარი, ჟან ფრანსუა ლიოტარი) მოსაზრებები ამ საკითხებთან დაკავშირებით: „ღმერთის მკვლელმა“ კაცობრიობამ „ადამიანიც

მოკლა“. თუკი მე-20 საუკუნე „ღმერთის სიკვდილით“ არის გამორჩეული, 21-ე საუკუნეში ამგვარი გამორჩეულობის ნიშანი „ადამიანის სიკვდილი“ იქნება“ (ბოდრიარი).

ჯანსაღი მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირების იაკობისეული პრინციპები წმინდა მამათა მიერ ნაქადაგები მარადიული მოქალაქეობის თანმხვერდრია და ისინი დღეს სასიცოხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან დედაენის დავიწყებას მოსდევს, ეროვნული მუხტის დაქვეითებასთან ერთად, პიროვნული განვითარების შეფერხება, მოქალაქეობრივი ცნობიერების დეფიციტი. პრობლემების დაძლევის გზა ეროვნულ სკოლაზე ორიენტირება და ჯანსაღი მოქალაქეობრივი სულისკვეთების ფორმირებაა. იაკობ გოგებაშვილის ნააზრევი ამ მხრივ ჭეშმარიტად დროის წინმსწრებია.

“Iakob was ahead of time” – writes the linguist Giorgi Gogolashvili in his monograph “Wisdom of Iakob”: “What Iakob used to preach in the 19th century, is a cogent truth even today, moreover – it is of a vital urgency for the nation” (G. Gogolashvili).

According to Iakob’s assertion “the child can start learning a foreign language only after he has mastered his mother tongue/dedaena... Only the mother tongue/dedaena is the language of the soul and heart”; all the others are languages of memory...” (Iakob Gogebashvili).

Objective of the present report is to highlight the consequences that appear as a result of neglection of the “language of the soul and heart” during the upbringing of a citizen. Thereby we must define that “language”, in this case, is not directly considered to be only the mother tongue/dedaena, but also implies an internal, spiritual and psycho-emotional condition, the negation of which leads a human towards anti-civic consciousness, dehumanization.

Gogebashvili’s doctrine is the basis for the formation of a healthy civic consciousness. The report presents clarifications of saint fathers – John Chrysostom and Martyr Grigol Peradze about the essence and role of citizenship. Grigol Peradze writes about the meaning of the word “citizen”: “This is a complicated and meaningful word. Other nations lack this

word... the word “citizenship” refers to the spiritual life of a saint: his inner struggles, struggles with his circle and darkness” (Grigol Peradze).

The report reviews Gogebashvili’s viewpoints regarding negative consequences that follow a person’s separation from his homeland. It is believed that this deficiency leads to the deterioration of creative thinking, anticivic mentality and dehumanization. Examples from Gogebashvili’s publications are compared herein with opinions of modern thinkers (Kakha Ketsbaya, Jean Baudrillard, Jean Francois Lyotard) regarding these issues: “society that had killed the God, killed a human as well.”

If the 20th century is characterized by the “death of God”, the 21st century will be characterized by the “death of a human” (Baudrillard).

Iakobian principles regarding the formation of a healthy civic consciousness coincide with an essence of eternal citizenship that saint Fathers used to preach, which are of vital importance even today, because forgetting the mother tongue/dedaena always results in the degradation of national ideology, delay in personal development, and lack of civic consciousness.

The way to overcome the problems is to focus on the national issues and form a healthy civic spirit. Iakob Gogebashvili’s thinking is really ahead of time in this respect.

რედაქტორები:

დალი გერმანიშვილი

ნანა კაჭაბავა

დამკაბადონებელი

ნინო ვაჩეიშვილი

